

# სახალხო ბაზუნი

სურათებიანი ჟამათის

გაზეთის № 1010

დამატების № 178

კვირა, 6 ოქტომბერი 1913 წ.

## უნიკალური

პიესა 4 მოქმედებად.

(შემდეგი \*)

შემოდის რუსია.

**რუსია.** (დღვას ეხვევა) დედა! რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ!

**დარ.** ძალიან მიხარია, შენმა გაზდამ! (ჰკოცნის).

**რუს.** (ელენეს ჰკოცნის) დეიდა ელენე!

**ელ.** კარგია, ნუ დამახრჩე, შე გიჟო, შენა!

**რუს.** (კისერზე ხელს მოკხვევს და დიდხანს თვალბეჭდში მისჩერებია) დეიდა!

**ელ.** რა იყო?

**რუს.** მიყვარს, მიყვარს, მიყვარს!

**ელ.** რა ვქნა, ხომ არ შეიშალეთ ორივე დედა-შვილი?!

**დარ.** (უცბად ხელს დაუქნევს) თსსს...

**რუს.** (ნაკბენივით მობრუნდება და დედას მისჩერებია) დედა!

**დარ.** წადი, შვილო, შლია-პა მოიხადე...

**რუს.** დედა, გრიშა და პავლე მოდიან.

**დარ.** მერე სად არიან აქამდის?

**რუს.** შეეტლეს უსწორდებიან...

**ელ.** (ამ სცენის დროს სულ დაროს მისჩერებია).

**რუს.** დედა, მე ერთი რამ უნდა გითხრა.

**დარ.** მერე, მერე, შვილო; აბა ეხლა რა დროსია, სტუმრები მოდიან.

**რუს.** კარგი, მერე იყოს... დიდი საიდუმლოა...!

**დარ.** ჰოო?

**ელ.** შეყვარებული იქნები.

**რუს.** მერე შენ რა იცი?

**ელ.** აკი შენა სთქვი!

**რუს.** (დედას მისჩერებია) მართლა, სულ დამავიწყდა...

(დერეფანში ისმის ლაპარაკი) აი, მოდიან... (გარბის) მობძანდით, მობძანდით!

შემოდინ გრიშა და პავლე.

**გრიშა.** კიდევ სალამი ბაბო! სალამო მშვიდობის!

**რუსია.** (ელექტრონის ლილს გადაატრიალებს, აინთება).  
**პავლე.** განათლდი, ახლო იერუსალიმე! (ზურას ოთახთან) ზურა, შინა ხარ?

**ზურას ხმა.** აა, მოხვედი? მოდი, მოდი!

**პავ.** აქედგამოდი, კაცო! რას ჩასჩინებ მაგ წიგნებს, სულ ერთია—არაფერი გამოვა.

**ზურას ხმა.** ეხლაგ მოვდივარ!

**გრიშა.** დღეს საღამოს გთხოვთ თეატრში დამეპატიეთ. თქვენც, ქ-ნო ელენე!

**დარ.** თეატრში?

**რუს.** თეატრში? მერე რატომ აქამდის არ მითხარით? Я бы набралась настроенія.

**დარ.** გმადლობთ!

**გრიშა.** დიდათ დამავალდებთ...

**დარ.** სიამოვნებით!

**გრიშა.** ქ. ელენე, თქვენა?

**ელ.** მე არ წამოვალ.

**დარ.** რატომ?

**ელ.** მინახავს... არც პიესა მომწონს.

**პავ.** რა მხრით?

**ელ.** რა მხრითაც გნებავთ...

**დარ.** მაინც?

**ელ.** თავით ბოლომდე უზნეობაა... ფეხით გათელვა ოჯახური სიწმინდისა... ცოლის მოვალეობისა და სხვა რაც გნებავთ...

**პავ.** ცოლის ზნეობას ქმრის ზნეობასთანაც აქვს კავშირი.

**ელ.** იმისთანა ცოლს რაც გინდ კარგი ქმარი ჰყავდეს— მაინც უღალატებს.

**დარ.** ეგრე გგონია?

**ელ.** იმისთანა ქალი დიდს არ დაფიქრდება, სანამ ზნეობრივ კანონებს ფეხით გათელავდეს.

**პავ.** სასტიკადა სჯით, ქ-ნო! ზნეობრივ კანონები ჩვენივე მოგონილია... აქ არსებობს სხვა, უფრო უმაღლესი, კანონები!


შემოდინ ალექსანდრე, ნესტორ და ზურა.

**ალ.** ბრწყინვალე ახალგაზდობას ჩემი სალამი!.. რაზე ლაპარაკობდით აგრე გაცხარებული?

**ელ.** დღევანდელი წარმოდგენის პიესაზე?

**ალ.** (ირონიით) „დამსხვრეული ღმერთი“? ოო, ახალი „მოდის“ პიესაა...

**გრიშა.** პიესას არ ვიცნობ და ვერაფერს ვიტყვი.




თავისუფლების ოცნება. სურათი ვ. ფერსტერისა.


\*) იხ. სურათებიანი დამატება № 177.



# მეხილეობის გამოფენა ტფილისში



პარაკლისი გამოფენის გახსნის წინ.



გამოფენის ერთი კუთხე, სადაც ყურადღებას იპყრობს საქაშეთის მეხილეთა საზოგადოების წევრთა მიერ გამოფენილი ექსპონატები.

**პავ.** მე ვიცნობ... ახალგაზდა ქალსა და ვაჟს უყვართ ერთმანეთი, მაგრამ მშობლები წინააღმდეგნი არიან და ქალს ძალად ათხოვებენ ერთ გამოჩენილ პირზე... ყმაწვილი სამშობლოდან გადაიქარგება... ქალი ცხოვრობს ქმართან პატიოსნად, შეიღებსა ზრდის, მაგრამ პირველი სიყვარული-კი არ გაჰქრობია... გაივლის 18 წელიწადი, ყმაწვილი მოდის თავის ქვეყანაში, შეხვდება ქალს, ერთბაშად იფეთქებს პირველი სიყვარული...

**ელ.** და ქალი მიჰყვება ვაჟს.

**პავ.** დიახ.

**ელ.** სტოვებს ოჯახს, შეიღებს.

**პავ.** თავისთავად ცხადია!..

**გრიშა.** მშვენიერია!

**დარ.** თქვენც ამ აზრისა ხართ?

**გრიშა.** დიახ!

**ელ.** ოო, ამას კი არ მოველოდი!

**გრიშა.** რატომ, ბ-ნო?

**ელ.** ჰმ... ისე...

**ალ.** მეც ელენეს ვეთანხმები... რას დაემზავსებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ აგრე ადვილად დაეარღვიოთ ოჯახის სიწმინდე.

**ზურა.** მეც მამას ვეთანხმები.

**პავ.** შენ, ჩემო ძმაო, მე-16 საუკუნეში უნდა შობილიყავ.

**ზურა.** პავლე, შენი „ახალი აზრებით“ ნუ იცი ხოლმე გამოხტომა.

**გრიშა.** თუ ამ „აზრებს“ თვით გრძობა და ცხოვრება გვიკარნახებს?

**ალ.** გონება იმისთვისა გვაქვს, რომ გრძობის ლაგამი მოვზიდოთ.

**გრიშა.** მაშინ ცხოვრებაც დაჰკარგავდა თავის პოეზიას, სილიმაზეს.

**ზურა.** აღვირ წახსნილი გრძობათა თარეში—ცხოვრებას ამახინჯებს.

**პავ.** ოჰოო...

**ზურა.** რა, ოჰოო?.. ხომ იცი, რა სთქვა ფენელონმა: „დედაკაცისათვის საჭიროა მეტად სერიოზული აზრდა, რადგან უამისოდ შეუძლებელია ქეშმარიტი წვრთნა მამაკაცისაო“.

**პავ.** ზურა-ჯან, გრძობა!.. გრძობა!.. გრძობას ვერსად წაუხვალ.

**ალ.** ბ-ბო, მე თქვენსავით განათლებული და ნაკითხი არა ვარ! მე ვკითხულობ ცხოვრების წიგნში და გეტყვით: თქვენის ამ გრძობის დაკმაყოფილებით შეიძლება ერთ წუთს განიცადოთ ნეტარება, მაგრამ გაითვალისწინეთ იმის შედეგიც! ოჯახის დარღვევა, ზნეობრივად გახრწნა, ერისა და მთელი კაცობრიობის გაქრობა.

**გრიშა.** არც აგრე ვაზვიადება შეიძლება.

**ალ.** არც ვაზვიადება... მე ისტორიას ვემყარები: გრძობას აჰყვენ საბერძნეთის ქალები და იგივე გრძობა ალაგმული ჰქონდათ ჰერმანელებს... შეადარეთ ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს და განსხვავებას ცხადათ დაინახავთ.

**პავ.** სჩანს, თქვენ სიყვარულს უარსა ჰყოფთ.

**ალ.** ვინ მოგახსენა?

**გრიშა.** ეგრე გამოდის...

**ალ.** უარსა ვყოფ ისეთ სიყვარულს, რომელიც ჩემს ოჯახურ მყუდროებას დამირღვევს.

**პავ.** ვერ გაშიგია სიყვარულის ასეთი განაწილება.

**ალ.** სიყვარულს თავისი დრო, ხანა და კანონები აქვს... მრწამს სიყვარული ახალგაზდა, ნორჩ თაობისა, მაგრამ იქაც მოვითხოვ ამ სიყვარულის სიწმინდის დაცვას... სიყვარული უზნეო, ხორციელ დატკობის სურვილზე აღმოცენებული—გახრწნის მომასწავებელია.

**ელ.** ვაშა, აო-რე! ეგრე მაგათ!

**ალ.** წარმოვიდგინოთ,—დარომ ეხლა საყვარელი აიჩინა!

**რუს.** (დედას კისერზე მოეხვევა).

**ელ.** ალექსანდრე!

**ალ.** არა, ისე, მაგალითისათვის! განა ეს ლამაზი იქნებოდა? სად არის აქ თქვენი „პოეზია“, თქვენი „სილიმაზე“?.. რომელი ახალი აზრისა და მიმართულების ადამიანი მოიწონებს ამას?!

**პავ.** არც თუ ძალიან გაჰკიცხავს.

**ელ.** ყველა გონიერი ადამიანი გაჰკიცხავს ქალის ამ გვარ საქციელს.

**დარ.** შეიძლება გაჰკიცხოს, მაგრამ გასამართლებელი მხარეც უპოვოს.

**ზურ.** დედა, შეუძლებელია აქ გამართლება... 17 წლის შვილის დედას ნება არ აქვს გულის თქმას აჰყვეს.


**პავ.** ეს არ არის გულის თქმა.

**ელ.** ბებია-ჩემის სიყვარული როგორღაც არა მჯერა.

**გრიშა.** „Любви все возрасты покорны“. ქალი სუსტი და მგრძობიარე არსებაა... იგი განხორციელებული პოეზიაა



# ქველი საქართველო



**ქველი საქართველო.** სოფ. საყუნეთში, (ძველად სადვინეთი), სადაც მხოლოდ ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ 800 კომლზე მეტი. ეკლესიაც კარგად არის დაცული და იქაურ მაჰმადიანს აბარია. გვარები ნამდვილი ქართული აქვთ და ლაპარაკობენ წმინდა ქართულ ენით.



**ქველი საქართველო.** ეკლესია სოფ. საყუნეთში. ეკლესიასთან დგას მაჰმადიანი (მეორე), გვარად ფათერაკიანი.

და სიყვარულიც ხომ პოეზიაა... მაშასადამე ქალს ერთხელ მაინც შეუყვარდეს...

**ელ.** ახალგაზღობისას შეუყვარდეს...

**გრიშა.** სიყვარულმა დრო არ იცის.—თუმცა, ვსთქვათ, უყვარდა.

**ელ.** ცოლად გაჰყვეს!

**გრიშა.** მშობლებმა ნება არ მისცეს.

**პალ.** ეს კი აღარ მესმის! მიყვარდეს და მშობლების ხმას აუკვემ.

**დარ.** ქალი და ვაჟი სხვა და სხვა პირობებში არიან.

**ალ.** აქ პირობები მოსატანი არ არის... თუ უყვარს გაიქცეს სახლიდან და გაჰყვეს საყვარელ კაცს, მაგრამ თუ რაიმე მიზეზით ეს არ მოხდა და სხვას გაჰყვა, უნდა ყველაფერი დაივიწყოს და ოჯახს შესწიროს თავი.

**პავ.** Это мѣщанство!

**ალ.** Это мѣщанство и есть залогъ прочной жизни націи.

**გრიშა.** ნუ თუ ქალს ნება არა აქვს მთელ სიცოცხლეში ერთხელ მაინც განიცადოს ბედნიერება?


**ალ.** ქალს—ნება აქვს, დედაკაცს—კი არა!

**პავ.** ეს როგორ?

**ალ.** მოგახსენებთ!

**გრიშა.** სქესის ასეთი განაწილება—მართლაც საინტერესოა.

**ალ.** ოღონდაც, გეუცხოვებათ, მაგრამ ჩემის ღრმა რწმენით, ქალი და დედაკაცი სულ სხვა და სხვა... ქალს... აი, იმ ქალს, რომლის პირად ბედნიერებაზე თქვენ ეგრე თავგამოდებით ზრუნავთ, ქალს უნიადაგოს, აღვირ წახსნილს, გრძობათა მორევში ჩაძირულს, რომელიც ხან ერთს ჩამოეკიდება კისერზე და ხან მეორეს—იმისთანა ქალს ყველაფრის უფლება აქვს და არც ღირს ადამიანმა იმისთვის თავი შეიწყუბოს, რად-



**ქველი საქართველო.** საფარის ციხე და მონასტერი (ახალციხის მაზრა). რომელსაც დღეს რუსის ბერები დაჰპატრონებიან.

გან იგი საზოგადოებისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს... დედაკაცი—კი—სულ სხვაა... კარგად ჩაუკვირდით ამ სიტყვას და დარწმუნდებით, რომ ამ სახელში, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, სამარცხვინო და სათაკილო არაფერია... პირიქით, მეტად თავმოსაწონი სახელიც გახლავთ... დედაკაცი... დედა... მშობელი მომავალი თაობისა, ცოლი და ოჯახის დედა! განა რომ დიდებული სახელია! აი, ამიტომაც გეუბნებით, ქალსა და დედაკაცს ერთმანეთში ნუ გარევთ მეთქი... ეხლა, რა არის „ბედნიერება“? ვის როგორ ესმის იგი? თუ, როგორც თქვენ ამბობთ, ლაგამ-წყაროლი გრძობის აყოლა ბედნიერებაა, ამისათვის გვყავს ჩვენ პირველი ჯურის ქალები... ხოლო დედაკაცის ბედნიერება სულ სხვაა... ეს ბედნიერება იმ ქალებისათვის მიუწლომელია, ისინი ამ ბედნიერებას ქვევადან ზევით შესცქერიან... დედაკაცის ბედნიერება აი, აქ არის, ოჯახში... ოჯახის სიწმინდეში, შვილების აღზრდაში და ქმრის ერთგულებაში... დედაკაცი პატარა სამეფოს დედოფალია, ბძანებელი და მფარველი... იგი უნდა იყოს თვით სიწმინდე, სალოცავი ხატი ამ ტაძარში. დედაკაცი ზრდის მომავალ თაობას, იგი ბურჯია ოჯახისა, წყარო ერის აწინდელი კეთილ-ღვინისა... როცა დედაკაცმა იცის თუ რა დიად ძალას წარმოადგენს საზოგადოებისთვის, რა პასუხსაგებ როლს თამაშობს ერის ბედ-იღბალში, იგი მაშინ თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს და მაშასადამე ბედნიერიც არის.

**გრიშა.** ყველაფერი კარგი, მაგრამ, რა ვუყოთ ქალის ნაზ გრძობას?

**ალ.** შეიყვაროს! ამის წინააღმდეგი არა ვარ... მაგრამ შეიყვაროს ერთხელ და უკანასკნელად. მარჯვნივ და მარცხნივ, ეს მძულს, ის მიყვარს, პირველი, მეორე,—ეს უკვე დანაშაულია... დედაკაცს უნდა ამშვენებდეს სირცხვილი და თავდაჭერა.



**პავ.** თუ ვერ დაიმორჩილა თავისი გრძობა?  
**ალ.** ქმარი დაიმორჩილებს და ჩაუხშობს ამ გრძობას.  
**გრიშა.** ადამიანის გრძობას ვერავითარი ძალა ვერ იმორჩილებს.  
**ალ.** მაშინ იგი პირუტყვია!.. და პირუტყვს-კი სცემენ!  
**პავ.** ოო, ალექსანდრე!  
**ალ.** დიახ, ძალა! ურჩნი ძალით უნდა დაიმორჩილო!  
**პავ.** (სიცილით) მაშ ჩვენ, მამაკაცები, დავრჩენილვართ უსაქმოდ.  
**ალ.** არა, განაგრძეთ თქვენი გმირობა, მაგრამ თქვენს მაგალითს ცოლებმა არ უნდა მიბაძონ.  
**გრიშა.** როგორ, თქვენ ამართლებთ მამაკაცთა სიმრუშეს.  
**ალ.** არ ვამართლებ, მაგრამ არც ისე დანაშაულად ვსთვლი.  
**პავ.** რანაირად?  
**ელ.** ალ-რე, ეხლა კი ცივი წყალი გადამასხნი...  
**ალ.** მოიცა, ეხლავე ავიხსნი... მამაკაცი თუ ოჯახს გარედ რაიმე სისაძაგლეს სჩადის, თავის დღეში ამ ქუჩის ცოლ-შვილში არ შემოიტანს.  
**გრიშა.** ეს როგორ?  
**პავ.** ეხლა კი გაება ჩვენი ალექსანდრე.  
**ალ.** მამაკაცი, დილით სახლიდან გამოსული, მთელი დღის განმავლობაში მგელივით დაძრწის, რომ ლუკმა იშოვნოს და თავის სოროში შეიტანოს... ამ ძნელ გზაზე ათას რასმე გადაეჩეხა... დაღლილ დაქანკული ცოტა ღვინოსაც დაღვეს, ფეხ მსუბუქ ქალებს თვალსაც ჩაუკრავს, მაგრამ მოდის სახლში, კარის დირეზე ფეხს გაიწმენდს და თავის ტაძარში შემოდის ნამდვილი ქმარი და ოჯახის მამა... ის თავის სისაძაგლეს გარედ სტოვებს.  
**გრიშა.** თქვენის აზრით ეს...  
**ალ.** ცუდია, მაგრამ ნაკლები ცოდნა, ვიდრე დედაკაცისა.  
**პავ.** არ მესმის!.. მამაკაცი გარედ სტოვებს და დედაკაცს-კი...  
**ალ.** შინ შემოაქვს!.. ცხადია! რომელ მამაკაცს მაჩვენებ, რომ ოჯახს გარედ ცოტათი არ ცუდლუტობდეს, მაგრამ ეს არა სჩანს... დედაკაცის მრუდეთ გადადგმული ერთი ნაბიჯი-კი ოჯახს ეტყობა... რა საჭიროა ჩამოგივალოთ დედაკაცის თავდაუქერლობის წყალობით დანგრეული ოჯახები...  
**გრიშა.** ამ შხრივ ქმრებს მეტი დანაშაული მიუძღვით.  
**ალ.** დედაკაცი ზნეობის საძირკველია... გაიხრწნა იგი, — გაიხრწნა ოჯახიც.  
**გრიშა.** თქვენ ამბობთ, — მამაკაცი გარედ სტოვებს თავის სისაძაგლესაო; ხომ არიან ისეთებიც, რომელნიც ოჯახის სიწმინდეს არად აგდებენ.  
**ალ.** დიახ, მაგრამ ეს უკვე პატალოგიური მოვლენაა.  
**გრიშა.** რა უნდა ვუყოთ ისეთ ქმრებს?  
**ალ.** წარმოიდგინეთ, ისინიც საჭირონი არიან როგორც სარკე გარყვნილებისა და სისაძაგლისა... ადამიანი წასში სქვრეტს სიღუბს, სივარდს, უფრო ღრმად, სერიოზულად უფიქრდება ამ საკითხს და ცდილობს შორით მოუაროს ამ ტალახს და შიგ არ ჩავარდეს.  
**გრიშა.** თქვენი მსჯელობა მეტად ცალმხრივია.  
**ალ.** რითი?  
**გრიშა.** ქალის პიროვნებას სრულიად უარსა ჰყოფთ.  
**ალ.** დიახ, უარსა ვყოფ! ქმრიანი ქალი უნდა იყოს ქმრის მონა და ოჯახის ერთგული!  
**პავ.** ეჭე!  
**ზურა.** ეს შეუძლებელია, მამავ!  
**ალ.** არაფერ შეუძლებელს მე აქ არა ვხედავ... მე ვწრო-მობ, ვიხწვი, ოჯახში შემომავს—ცოლმა უნდა მოუაროს. ხოლო ოჯახიდან როცა გავალ, ცოლი არის ჩემი ნამუსი, ჩემი სირცხვილი და თავმოყვარეობა... მე, ქმარს, არავისი არ უნდა

მეშინოდეს, არ უნდა მრცხვენოდეს და შემედლოს მტერს პირდაპირ შევხედო თვალბში. მე ცოლი ჩემთვის მინდა.  
**ზურა.** ცოლსაც ხომ თავისი ქმარი უნდა?  
**ალ.** ჰყავს!  
**გრიშა.** მხოლოდ ფიზიკურად?  
**ალ.** საკმარისია!  
**პავ.** „А что тебе надо“... (მღერის).  
**გრიშა.** სჩანს ცოლი თქვენთვის მხოლოდ საშუალებაა...  
**ალ.** ცოლი, შვილი, ოჯახი და სხვაც, იარაღია ჯერ ჩემთვის და შემდეგ ჩემი შთამომავლისათვის.  
**პავ.** Однако!..  
**გრიშა.** Да!.. ასეთი სიმკაცრე...  
**ალ.** რას იზამ, ჩემო კარგო! ცხოვრება ჩვენზე მკაცრია... ჯერ ასეთი სიმკაცრითაც ვერ ავლავმეთ ქალთა თავაშვებულება და ცოტა რომ ლაგამს მივუშვათ, ხომ სულ გაგიყდებიან!..  
**პავ.** ამრიგად ცხოვრება სამასი წლით უკან დაიწევს.  
**ალ.** თქვენ, ახალგაზრდებმა ააშენეთ და წინ გაუსწარით ცხოვრებას, მე-კი ასე მიცხოვრია და ასევე ვიცხოვრებ!.. შენ რას იტყვი, ნესტორ!  
**ნესტ.** ნეტავი ვინმე-კი წაათრევდეს ჩემს გამხმარ დედაკაცს, თვარა მზითვსაც მივცემ... (იციინან).  
**გრიშა.** ბ-ბო, გვაგვიანდება!  
**რუს.** მართლა, თეატრი?  
**პავ.** ძალიან სასტიკადა მსჯელობთ, ბ. ალ-რე!  
**ალ.** რას იზამ, ჩემო, კარგო! ცხოვრება, ცხოვრება! თქვენი ფილოსოფია ამბობს—ცხოვრება სძლევეს ადამიანსაო.. მე-კი მსურს—ცხოვრებას თითონ ვძლიო... ჩემზე ძლიერი სიკვდილიც მეყოფა... აბა, ნესტორ, წავიდეთ—ჩვენს საქმეს მივხედოთ... ამათი ყურება ხელს არ მოგვცემს. ნახვამდის! (შედიან კაბინეტში).  
**ელ.** პავლე, გამაცილეთ სახლამდე!  
**პავ.** მეზარება, მაგრამ მაინც გავაცილებ...  
**ელ.** ძალიან უზრდელი კი ხარ!  
**პავ.** ქალო, თეატრში მივდივარ, რა დროს გაცილებ...  
**გრიშა.** ვწუხვარ, ჩვენთან ერთად არ იქნებით დღეს...  
**ელ.** მეცა ვწუხვარ, მაგრამ რა ვქნა!.. შენ არ მიღიხარ?  
**ზურა.** მე ოპერაში მივდივარ... პავლე, შენ დედა გაცილე და შემოიარე... ცოტა მოსათავებელი მაქვს და მანამდე მოვრჩები.  
**ელ.** წავიდეთ?  
**პავ.** წავიდეთ, წავიდეთ!..  
**გრიშა.** ბარემ ერთად წავსულიყავით.  
**ელ.** დარო, მზადა ხარ?  
**დაროს ხმა.** ჯერ არა!  
**ელ.** ჩვენ მაინც სხვა და სხვა გზები გვაქვს. ნახვამდის! (რუსიას ჰკოცნის. გადიან).  
**ზურა.** პავლე, არ დაიგვიანო! (გაჰყვება თან).  
**რუს.** (კარებამდე მიაცილებს, შემობრუნდება და დიდხანს გრიშას მისჩერებია, გრიშაც უყურებს მაგრამ ვერაფერს მიმხედარა და იღიმება. ახლოს მივა, ორივე ხელებს დაუქერს და უფრო დაჟინებით ჩასცქერის თვალბში) გრიშა...  
**გრიშა.** რა იყო, ჩემო პატარავ?  
**რუს.** (პაუზა ისევ თვალბში ჩასცქერის) გრიშა!..  
**გრიშა.** რა იყო, ჩემო კარგო? მითხარი, რა გინდა?  
**რუს.** (დიდი პაუზა. გულზე თავს დაადებს. უცბად გონს მოვა და სეროტუკის ღილში გარკმულ ვარდსა ჰყნოსავს) რა მშვენიერი ყვავილია!  
**გრიშა.** გინდა გაჩუქო? აჰა! (აძლევს).  
**რუს.** დიდხანს დასცქერის ვარდს ტუჩებთან მიიტანს, ვითამ საყნოსავად, მაგრამ ჰკოცნის. შეხედავს გრიშას. ამოიხრებს და თავის ოთახში გარბის).  
**გრიშა.** (თვალს გააყოლებს. ჩაფიქრდება. მიხვდა).

(შემდეგი იქნება)  
**ვალ.** შალიკაშვილი.

